მარტი 1899 წ. N I
35589

სოლომონ II, მეფე იმერთა

(საისტორიო მასალა)

ქვემორე ამისა ვბეჭდავთ იმერეთის მეფის სოლომონ II-ის წერილს, რომელიც ჩვენ სრულებით შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში. წერილი მოწერილია ქ. ახალციხიდან ზემო-იმერლებთან (აწინდელის შორაპნის მაზრის მცხოვრებლები), ანუ, როგორც თვით სოლომონი სწერს, ზემოურებთან. რათა მკითხველმა უფრო ადვილად გაითვალისწინოს ამ წერილში აღნიშნული ფაქტები, საჭიროდ ვრაცხთ, განმარტებასავით, რამდენიმე ისტორიული და სოლომონ II თანამედროვე გარემოება აღვნიშნოთ.

—

1784 წელს, 23 აპრილს გარდაიცვალა დიდად სახელოვანი იმერეთის მეფე სოლომონ დიდი და მის წილ იმავე წელს, კაცია დადიანის დახმარებით, გამეფდა დავით, ძმისწული სოლომონ დიდისა. მაგრამ კაცია დადიანის სიკვდილის უმალ († 6 დეკემბერს 1788 წ.) იმერეთის მეფემ მოინდომა სამეგრელოს დაპყრობა. რადგან კაციას შვილი, დადიანი გრიგოლ, მაშინ მცირეწლოვანი იყო (17 წლისა), იმერეთის მეფე შევიდა ჯარით სამეგრელოში, მოსტყვევნა ქვეყანა, მაგრამ მცირეწლოვანი დადიანი ხელში ვერ ჩაიგდო. მაშინ მეგრელთა მოუწოდეს არჩილის ძეს დავითს, სოლომონ დიდის თექვსმეტის წლის ძმის-წულს, შერთეს მას გრიგოლ დადიანის და მარიამ (1789 წ. 6 თებერვალს) და გამოაცხადეს იმერეთის მეფედ; სახელიც გამოუცვალეს და დაარქვეს სოლომონ მეორე. დავით მეფე დიდძალის იმერთა და ლეკის ჯარით სოფ. მათხოჯს ახლო დაბანაკდა, ცხენის-წყლის პირზე. შეერთებულნი

«ორნი ურმანი», სოლომონ მეფე და დადიანი გრიგოლ, დავითის უეცრად დაესხნენ 10 ივლისს 1789 წელს, ხანგრძლივის ომის შემდეგ, გააქციეს და მისდიეს ქუთაისამდი. აქაც ვერ გამაგრადა დავით მეფე და მეორე დღეს, 11 ივლისს, ქუთაისიც აიღეს, სოლომონ გაამეფეს და მთელი იმერეთი მას დაუმონეს. დავით მეფე გადავარდა ახალციხეს, ოსმალეთში. იქიდან ჩამოიყვანა ოსმალოს ჯარი და მათის შემწეობით აიღო ქუთაისი და ხელახლა გამეფდა იმერეთს 1790 წელს. მაგრამ გრიგოლ დადიანის და ერეკლე ქართლის მეფის შემწეობით (რომელიც იყო პაპა სოლომონ მეფისა) დავით მეფე ხელახლა გადააგდეს და ქუთაისი აიღეს (1791 წელს).

მიუხედავად ამდენის ერთგულებისა მეფის დაახლოვებულ პირთა (წერეთელ-წულუკიძეთა) შური და მტრობა ჩამოაგდეს მეფის და დადიანს შუა. ამ შურმა სრულიად დასცა სამეგრელოს სამთავრო და იმერეთის სამეფოც. მიზეზად განხეთქილებისა რომელნიმე ასახელებენ დადიანის გრიგოლისაგან ერეკლე მეფის შვილის-შვილის ნინო დედოფლის შერთვას (1790 წელს), რაისა გამო დადიანი, ქართლის მეფეთა შემწეობით, ვითომ საშიში ჰხდებოდა იმერთა მეფისათვის. მაგრამ ნამდვილი მიზეზი იყო სოლომონ მეფის განზრახვა, რომ ლეჩხუმი წაერთმია დადიანისთვის და შემოეერთებინა იმერთა სამეფოსათვის. ამ განზრახვით სოლომონ მეფემ მიიმხრო ლეჩხუმის უფროსი კაცები და გრიგოლ დადიანი გადააგდეს (1792 წ.); დადიანობა მისცეს მისს ძმას მანუჩარს, რომელიც ხელქვეითი გახდა იმერთა მეფისა.

მაშინ გრიგოლ დადიანმა მოიყვანა აბხაზ-სამურზაყანოს ჯარი და შეება მეფეს მარსილის მინდორზე (სენაკის მაზრაში, მდ. აბაშის პირას, სოფ. ბანძას ახლო), მაგრამ დამარცხდა (1793 წ.). შემდეგს 1794 წელს გრიგოლმა ისევ ითხოვა შემწეობა აბხაზეთის მთავრის ქელეიშ ახმეტ-ბეგისაგან და სასყიდლად დაუთმო მას ქალაქი ანაკლია (შავის ზღვის პირას). დიდ-ძალი ჯარი აფხაზთა შემოვიდა სამეგრელოში და დადგა სოფ. ხიბულას (ზუგდიდის მაზრა). მეორეს მხრით მეფე სოლომონს აუშალა მეფე-ყოფილი დავით, რომელიც იმერეთისა და ლეკის ჯარით დადგა მათხოჯს. სოლომონს საქმე უჭირდა, მაგრამ ქართლის მეფის ერეკლეს შემ-

წლობით (რომელმაც გამოუგზავნა არტილერია და ჯარი თვისის შვილის ალექსანდრეს მხედართ-მთავრობით) აფხაზნი დამარცხდნენ და მეფე-ყოფილი დავითიც, შემდეგ სასტიკის ბრძოლისა (24 ოქტომბერს 1794 წ.), ვერ დადგა და გაიქცა ფოთს (რომელიც მაშინ ოსმალთა ეჭირათ) და იქიდან ახალციხეს, სადაც მოკვდა ყვავილითა 1795 წელს. გრიგოლ დადიანი კი ფოთიდან ისევ სამეგრელოში შემოვიდა; თუმცა სცადა, დადიანობა ვერ იშოვა. მაგრამ ვერც სოლომონ მეფემ მოახერხა მისი განდევნა, რადგან ძლიერი მეგობრები ჰყვანდა სამეგრელოში (1794—1798 წ.)

რაკი სოლომონმა ვერ განდევნა გრიგოლ დადიანი სამეგრელოდან და ეს ქვეყანა შფოთში იყო, ქართლის მეფის ერეკლეს შუამდგომლობით, მეფე შეურიგდა გრიგოლს 1799 წელს: მას დაუბრუნა დადიანობა, ხოლო მანუჩარს მისცა ლიპარტიანობა.

თუმცა გრიგოლ დადიანს ამ შერიგებით ლეჩხუმის მაზრა დაუბრუნდა, მაგრამ მხოლოდ სიტყვით. ნამდვილად კი ლეჩხუმს განაგებდა სოლომონ მეფის მომხრე მძლავრი თავადი ქაიხოსრო გელოვანი. ბევრი ითმინა დადიანმა, ბევრი ღონე იხმარა, რომ ლეჩხუმში გაბატონებულიყო არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, მაგრამ გელოვანმა მეფის ქვეგანზრახულობით არ მიუშვა. ამის გამო დადიანმა მოაკვლევინა ქაიხოსრო გელოვანი 1799 წელს. ამ გარემოებამ ისევ შური ჩამოაგდო მეფისა და დადიანს შუა ლეჩხუმის გამო. ხელახლა ატყდა მათს შორის ბრძოლა, რომელიც გათავდა იმით, რომ 1802 წლის დამწყებს მეფემ ხელმეორედ გადააგდო გრიგოლ და დადიანობა ისევ მანუჩარს უბოძა, მაგრამ სამეგრელოდან გრიგოლის განდევნა ვერ შესძლო. იყო მუდამი ომი და კირთება იმათს შუა. სამეგრელოს ხალხი მეტად შეაწუხა მეფე-დადიანის განუწყვეტელმა ბრძოლამ. რაკი ვერა გაასწყო-რა, მეფემ არჩია ისევ შერიგება გრიგოლთან და შესარიგებლად მარტო ჭყვიშის ციხეს დასჯერდა (1802 წლის დამწყებს). ეს ციხე აშენებულია ლეჩხუმ-რაჭა-იმერეთს შუა და ითვლებოდა კლიტედ რაჭა-ლეჩხუმისა. თუ იმ ციხეს მეფე დაიჭერდა, დადიანს გზა ესპობოდა რაჭაში და ყოველი ღონისძიებაც რაჭველ ერისთავთან შეერთებულ მოქმედებისა მეფის საწინააღმდეგოდ; ხოლო მეფეს, ჭყვიშის ციხის

მქონებელს, მუდმივს შიში ეჭირა რაჭაცა და ლეჩხუმიცა. ამის გამო გრიგოლ დადიანმა თუმცა გარეგნობის შერიგებისათვის ჭყვიში დაუთმო მეფეს, მაგრამ, შემდეგ შერიგებისა და დადიანად გახდომისა, სხვა-და-სხვა მიზეზიანობით, ჭყვიშის გადაცემა დააგვიანა და, ბოლოს, სულ უარი შემოუთვალა. დადიან-ყოფილი თვისი ძმაცა მანუჩარი შინაურულად შეირიგა, სალიპარტიანოს დააჯერა და მეფის საწინააღმდეგოდ აღძრა (ივლისს 1802 წელს).

სოლომონ მეფე განრისხდა და ასტეხა ომი დადიანთან. დიდძალის ჯარითა და არტილერიითა გაილაშქრა ლეჩხუმში და ჭყვიში, ეს ლეჩხუმის კარი, მოისყიდა მეციხოვნეთაგან (სექტემბერს 1802 წ.) და, ლეჩხუმში შესულმა, უმეტესი ნაწილი ციხე-სიმაგრეებისა აიღო. უკანასკნელ, სოფელ უსახელოში სრულიად დაამარცხა დადიანი გრიგოლ, გააქცივა, ლეჩხუმი მთლად დაიჭირა (18—25 ოქტომბერს), შევიდა სამეგრელოში, გრიგოლ და მანუჩარ განდევნა და გაადადიანა ოტია კაციას ძე. გამარჯვებული ქუთაისს დაბრუნდა. ხოლო გრიგოლ, დადიან-ყოფილმა, აფხაზებს მიჰმართა, აფხაზეთის გამგეს მძევლად მისცა თვისი შვილი ლეონ, და 20,000 მხედრობა აფხაზთა სამის ზარბაზნით სამეგრელოში შემოვიდა და აბედათს დაბანაკდა (ნოემბერს 1802 წ.). მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა გრიგოლს: სოლომონ მეფემ და ოტია დადიანმა აფხაზის ჯარი შეისყიდეს და შეიჯერეს. აფხაზები უომრად წავიდნენ თავისს ქვეყანაში (ნოემბრის დამლევს).

მაშინ გრიგოლ დადიანმა, ყოველ ღონეს მოკლებულმა, რუსის მხედრობა მოიწვია თავისის ქვისლის, დავით ბატონიშვილის, შემოწმებით (1802 წ.), მიიღო ოქმი სამეგრელოს რუსთმფარველობის შესვლისა (23 მაისს 1803 წ.) და შემდეგ გაგზავნა ციციანოვთან ცალკე ელჩები, რომელნიც (რადგან ყველა გზები ტფილისისკენ სოლომონ მეფეს ეჭირა) გადავიდნენ სვანეთის გზით კავკასიის უღელ-ტეხილს (ივლისს 1803 წ.), მოზდოკში ჩავიდნენ და იქიდან ტფილისს (24 ოქტომბერს 1803 წ.), ითხოვა რუსთაგან ჯარი და თანაც დასძენდა, რომ თუ რუსები არ შემეწევიან, იძულებული ვიქნები ოსმალოს ჯარი მოვიწვიოვო. მთავარმართებელმა ციციანოვმა სიხარულით მიიღო წინადადება გრიგოლისა, გამოუგზავნა მას საჩუქრები და ალექსანდრე ნეველის ჯვარი. ამასთან, მთავარ-

მართებელმა გამოგზავნა რუსის მხედრობა პოლკოვნიკის მაინოვის მხედართმთავრობით. ეს ჯარი, ტფილისიდან 3 ნოემბერს გამოსული, წამოვიდა ახალციხის გზით ფოთს, აქედან ჭალადიდს 1 დეკემბერს გრიგოლ დადიანს შეეყარა; 4 დეკემბერს ფიცი მიიღო დადიანმა და მისმა ჯარმა რუსების ერთგულობისა და ქვეშევრდომობისა.

მაშინ ლეჩხუმის თავად-აზნაურნი გრიგოლის მხარეს გადმოვიდნენ და ლეჩხუმში გაანბატონეს (2 აპრილს 1804 წ.). ცოტა ხნის შემდეგ სამეგრელოში შემოვიდა დიდად დახელოვნებული დიპლომატი ლიტვინოვი და ერთი რაზმი რუსის ჯარი. ეს ჯარი გრიგოლ დადიანმა დიდის ამბით და პატივისცემით ყულევში გამოიყვანა და ხორგას დაბანაკა (18 მაისს). აქედან ეს ჯარი ქუთაისს შევიდა უომრად და იქ დაბინავდა მეფე სოლომონის ნებაყოფლობით მისს სასახლეში (4 ივლისს). იმავე დროს მთავარმართებლის ციციანოვის ტკბილის ენით სოლომონმა, იმერეთის სამზღვართან ციციანოვთან შეყრილმა, ფიცი მიიღო რუსთ ერთგულობაზე 24 აპრილს, მაგრამ იმ პირობით, რომ რუსებს დაებრუნებინათ მისთვის ლეჩხუმი. ციციანოვმაც ფიცი მისცა. ეს პირობა მთავარმართებელმა ვერ შეუსრულა, და სოლომონ მეფემაც მიცემული ფიცი უარჰყო.

ამასობაში, გრიგოლ დადიანი ავად გახდა და 23 ოქტომბერს მოკვდა. ბევრნი იტყოდნენ სოლომონ მეფის შეჩენით გრიგოლის საწამლავით სიკვდილსა (დადიანს ექიმობდა სოლომონ მეფისაგან გამოგზავნილი კათოლიკე მღვდელი ნიკოლა პატრი). მაშინ რუსებმა დადიანად გამოაცხადეს მისი შვილი, მცირე-წლოვანი ლევონ, რომელიც აფხაზთაგან გამოისყიდეს, ხოლო რეგენტად — მისი დედა, დედოფალი ნინო დანიშნეს.

რამდენისამე თვის შემდეგ (დეკებმერს 1804 წ.) ყულევში ზღვიდან გამოვიდა ახალი ჯარი რუსებისა დიდად ხელოვანის რიკდოფის მხედართმთავრობის ქვეშე და დაებანაკა ხონს და ხუნწს. ამან აფხაზებს ანაკლია წაართვა და გამოისყიდა მათგან მცირეწლოვანი ლევონ გრიგოლისძე, რომელიც ოფიციალურად გაადადიანეს 2 აპრილს 1805 წლისას. მერე რიკდოფი ქუთაისს შევიდა და იქ დაბინავდა. სოლომონ მეფე რუსთა მორიდებით, თუ შიშით წინა-

აღმდეგობას არ უწევდა მას, მაგრამ თვითონ არ ეკარებოდა მხედართმთავარს. მეფე სრულიად გაეცალა ქუთაისს და სცხოვრობდა ზაფხულობით ოკრიბას, ზამთრობით კი ვარციხეს. მიზეზი სოლომონის ესრეთის ქცევისა ის იყო, რომ მეფემ შეატყო, ღალატით დაჭერას მიპირობენო, და ოსმალებისაკენ ჰქონდა თვალი.

მართლაც, ხერხით დაჭერა სოლომონისა მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა 1806 წლიდან.[1]) 1807 წელს ეს მძიმე საქმე მიანდვეს ზურაბ წერეთელს, რომელიც უნდა გაებატონებინათ მის მაგიერ იმერეთში. ხოლო ცხადად გალაშქრება მეფის წინააღმდეგ ვერ გაბედეს, რადგან ეშინოდათ, მეფემ ოსმალოს ჯარი არ შემოიყვანოსო ახალციხით, ფოთით (რომელიც ოსმალთა ეჭირათ) და აფხაზეთით და გურიით, რადგან ეს ქვეყნები მაშინ თავისუფალნი იყვნენ და რუსის ბრძანებას არ ემორჩილებოდნენ.

მაგრამ მალე დრო გამოიცვალა. აფხაზეთის მთავარი ქელეშბეგ (შარვაშიძე) მისმა შვილმა ასლანბეგმა მოჰკლა და თვით გაბატონდა (2 მაისს 1808 წ.). ამას შეუდგა დაუცხრომელი არეულობა აფხაზეთში. ამით ისარგებლეს რუსებმა და, მეგრელების შემწეობით, დაამკვიდრეს აფხაზეთში რუსეთის მომხრე მთავარი საფარ-ბეი, რომელმაც რუსეთის მფარველობა მიიღო (1808 წ. 14 ივლისს); რუსის მხედრობა გაძლიერდა ახალის ჯარით (შვიდი რაზმი), რომელიც ზღვით გამოგზავნეს შიდა-რუსეთიდან. დარჩა ფოთი და გურია დაუმონებელი. მეგრელ-რუსის ჯარმა დ. ორბელიანის მხედართმთავრობით ფოთი (გარდა ციხისა) აიღო 1809 წელს, 12—25 აგვისტოს; ხოლო შემდეგ სასტიკის ბრძოლისა მალთაყვასა და გრიგოლეთს შუა ოსმალოს სერასკირ შერიფ-ფაშასთან ოსმალთა მხედრობა გურიელის მამიას დახმარებით, რომელმაც უეცრად უღალატა ოსმალებს, სრულიად შემუსრვილ იქმნა (ოქტომბრის დამლევს), და ამის შემდეგ ფოთის ციხე გადმოსცა რუსებს ქუჩუკ-ბეი შარვაშიძემ, ფოთის კომენდანტმა (შუა ნოემბერს). ამის შემდეგ თვით მამია გურიელმაც მიიღო რუსეთის მფარველობა.

რაკი, ამნაირად, რუსეთის მფარველობამ ფეხი მოიკიდა გურიასამეგრელო-აფხაზეთში და ფოთის იმდროინდელი ძლიერი ციხე

---

[1]) იხ. ამის შესახებ „მოამბე“ 1896 წ., № IV, „მეფე სოლომონ მეორის დროის წერილები“.

რედ.

რუსთ მხედრობას ჩაუვარდა ხელში, ჯერი მიდგა სოლომონ მეფეზე. ახლა სოლომონი ახალციხის მეტს სხვა მოკავშირეს ვერ იშოვიდა. ამის გამო მთავრობამ გადასწყვიტა სოლომონის წინააღმეგ გალაშქრება და მისი ხელთ ჩაგდება. საჭირო იყო მხოლოდ ეოველი დონე ეღონათ, რომ მეფე ოსმალეთში არ გადაეშვათ. 1810 წელს მეგრელი ჯარი 4,500 კაცი და რუს-გურულთა მხედრობა შეკიდნენ იმერეთში და წინდაწინვე მოსაზრებულის მოქმედების გეგმით ისე მოაწყეს საქმე, რომ მეფე ხანის ხეობაში შეამწყვდიეს და ახალციხეს გადასავალი გზა თითქმის მთლად მოუწყვიტეს. ქუთათელისა და გენათელ ეპისკოპოზის და ზურაბ სახლხუცის ხირით რუსებმა დაარწმუნეს მეფე, რომ თუ რუსთა დაჭმორჩილდებოდა, მისს მეფობას და ხატივს არა დაუკლებოდა-რა. ამაში მეფე დაუჯერეს რუსთა წარმოადგენელთ ფიცის მიდებით. მაშინ მეფე დაჭნებდა მხედრობას და 28 მარტს 1810 წლისას მთავარმართებელთან გაემგზავრა თვისის ამალით; 1-ს აპრილს ტფილისში შებრძანდა. ორს კვირას დიდს პატივში ჭეკანდათ, მაგრამ რადგან სოლომონ სამეფოზე ხელს არ იდებდა და წინადადება რუსეთში წასვლაზე უარ ჭეო, ამის გამო ის დაატყვევეს და ეარაული დაუყენეს; მეფეს მხლებლებიც მოაცილეს, გარდა ხელის-მსახურთა. ამ უკანასკნელთა რიცხვში ეოფილა ვინმე კლეხი სარალიძე. უკანასკნელმა თავი განწირა მეფისათვის და ურჩია მეფეს მისის ტანისამოსით გაპარულიეო. მაისის 10-ს მეფე გავიდა სარალიძის ტანისამოსით, მცველებისაგან შეუმჩნეველი; ხოლო სარალიძე მეფის ტანისამოსში სასახლეში დარჩა. როდესაც სარალიძეს ესრეთი მცბიერობა შეატყვეს და ტყვიით გახვრეტა მოუნდომეს, მაშინ მეფე სოლომონ მისის ამალით უკვე შორს იყო ტფილისიდან ახალციხის გზაზე. დანარჩენს გარემოებას მეფე თვითვე გვიამბობს ქვემო დაბეჭდილს თვისს წერილში, რომელიც გაუგზავნია მას ზემო-იმერლებისათვის. ტორმასოვთან დასასჯელად წარდგენილმა სარალიძემ ადიარა რა თავისი ბრალი, მოახსენა მთავარმართებელს: «მე თქვენი ყმობა ჯერ არ მიმიდია, ხოლო როდესაც მივიდებ, თქვენი ერთგულობაც ისეთივე მექნება, როგორიც დღეს ჩემის ბუნებითის მეფისა მაქვს. ნუ თუ რუსთა განთქმული სამართლიანობა ჭსჯის ყმათა თვისის ბატონის ერთგუ-

ლობისათვის!...» მთავარმართებელმა არა თუ არ დასაჯა, არამედ აზნაურობით დააჯილდოვა მეფისათვის თავდადებული ყმა.

აი თვით წერილიცა:

«ქ: ჩვენგან ნიადაგ პატივით, საიმედოდ და საერთგულოდ სახსოვართ და ძმურად საყვარელთ ერთობით ზემოურებს.[1])

მეფე სრულიად იმერთა სოლომონ ძმებრის სიყვარულით მოგიკითხავთ. მერეთ, როდესაც გული დავაჯერე, რომ რუსეთს მისტუმრებენ, თქვენის მოშორვებისა და იმერეთის საუკუნოდ დატევების (ცეცხლი ჩემს გულს მოეგზნა. ცისქვეშეთს დიდებას თქვენთან ყოფნა, თქვენთან სიხარული, თქვენთან სიცოცხლე და სიკვდილი ვირჩიე... ათს ამ თვეს, ღამის ორ საათს გასულს, ქალაქიდამ[2]) გამოველ. ოთხნივ წერეთლები[3]), ორნი ძმანი ერისთვები[4]) დაბუაშვილი თავეთის კაცებით ოცდა სამი ცხენოსნები აქ, ახალციხეს, მოვედით. თქვენის ერთგულობისა და სიყვარულისაგან ამას მოველი, რომ ერთობით ჩვენს ერთგულობაზე თავი დასდვათ და ყოველი თქვენი მოკიდებული ოჯახები და მეზობლებიც დააჯეროთ, რომ საქართველოსავით არ დაიღუპნეთ, რომელნიც იმათ ხელში სულიერად დიდს პარასკევს ხორცსა სჭამენ და ხორციელად გატანჯულნი სიკვდილს ნატრულობენ. პირველად ისინიც ფიცითა და ოქროთი და ტკბილის სიტყვებით მოატყუეს და დღეს მკვდარზედაც სამი მანეთი ხარაჯა დაუდვიათ და ართმევენ; სახლისა და ცოლ-შვილის უპატიოებისათვის მწარედ ოხვრენ და კვნესიან და დღე-და-დღე უმწარესს დღეს მოელიან. თუ თქვენს დამონებაზე გულ დასმულნი შეიქმნენ, ყველაზე უმწარესი დღე თქვენ მოგადგებათ, იცოდეთ. და რომელნიც დღეს ოქროს იძლევიან, ხვალ თქვენის სახლის საცხოვრებელსაც წაგართმევენ; დღეს რომ პატივით გეპყრობიან, ხვალ ყოვლის ქვეყნისაგან უფრო იმერეთში წმინდად შენახულს ცოლ-შვილის ნამუსსა და პატიოსნებას უპატიოდ გახდიან. მე თუ სხვა სამსახური რამ

---

[1]) ზემოურებს იმერეთში ზემო-იმერეთის (შორაპნის მაზრის) მცხოვრებთ უწოდებენ. ეჭვს გარეშეა, ამნაირი მოწოდების წერილი ქვემო-იმერლებსა და რაჭველებსაც ექმნებოდათ.

[2]) ტფილისიდან.

[3]) ქაიხოსრო, როსტომ, სვიმონ ზურაბისშვილი და სვიმონ გიორგისშვილი.

[4]) ძმები დავით და გრიგოლ.

დამიკლია თქვენთვის, ეს კი ეგვლამ იცით, რომ თქვენთვის პატივისა და სიყვარულისაგან ჩემი გული არ გამძღარა. ეს არის დღე თქვენგან ჩვენის ერთგულობისა და სიყვარულისა, რომ, როგორც მოგვიწერია, ისე ჭქნათ. და თუ თქვენ მირჩევთ და დამაჯერებთ, სხვას უსტოს ჯარებს[5]) ადარ დავეძებ. მე თქვენთან მოვალ, როგორც თქვენი პასუხი მომიგა, ისე ვიქ. ამაზედაც გული დაჯერეთ: იმერეთის გულისათვის ჩემი სიცოცხლე უნდა დავასრულო. მაისის იზ (17) წელთა ჩეი (1810)

ᲐᲠᲬᲣ
ᲜᲐᲠᲘᲩᲮᲔ
ᲚᲝᲠᲔᲝᲐᲝᲔ

ეს წერილი დაწერილია სქელს ლურჯ ქაღალდზე, რომელსაც სიგრძე აქვს ათი გოჯი და სიგანე ხუთი გოჯი. გარედან შემდეგი წარწერა აქვს: «ქ: მათ კეთილშობილებას ერთობით ზემოურებს მიერთვას».

იმერეთში სოლომონ მეფეს ამ წერილის შემდეგ კარი გაუღეს. გარდა რამდენთაშე გაგლენიან პირთა, მთელი იმერეთი მეფეს მიუდგა. მაგრამ მაინც ვერ დაუდგა რუსთა და გურულ-მეგრელთა ჯარის წინააღმდეგ და იძულებულ იქმნა ისევ ოსმალეთში გადასულიყო 18 ნოემბერს 1810 წელს. აქ ოსმალთა ჯარი უნდა ეშოვნა. 1811 წელს ოსმალთა მხედრობა მზად იყო შესულიყო იმერეთში, მაგრამ ამ დროს ყამი შეიქმნა და ჯირი 1811—1812 წლებში, რომელმაც მოსწყვიდა ორი წილი მთელის იმერეთისა. სრულიად იმედ-დაკარგული მეფე ოსმალეთში დაბრუნდა, სადაც გარდაიცვალა 1815 წელს და დამარხულია ტრაპიზონში.

ხოლო იმერეთში 1815 წლიდან დამკვიდრდა რუსთ მმართველობა.

დასასრულ, აქვე დავსძენთ ქრონიკას ვინმე ჩხეიძისაგან საკუთარის ხელით დაწერილს, რომელიც შუქსა ჭფენს ზემოადწერილს ამბებს.

«ჩეი (1810) წელსა. რუსეთის მხედრობამ ჩამოართვეს მეფეს არჩილის ძეს მეფობა და შევიდა მეფე (სოლომონ) მთაშიდ, რათამცა

---

[5]) აშკარაა, ოსმალოს ჯარების შესახებ ამბობს.

947.922
ჟ 841

გარდასრულიყო ახალციხედ და შუამდგომლობითა გენათელ მიტროპოლიტისა ეფთიჳმის, გურიის ერისთჳს შჳლისთა, დარწმუნებულ იქმნა და ჩამოვიდა მთიდამ მეფე და შეეყარა ღენერალს სჳმონოვიჩის ფერსათს სალხინო საყდარზე მარტო და შეფიცა ღენერალმა მეფესა, რათამცა ქალაქს წაბრძანდეს მთავარმართებელს ღენერალ ლეინტინატ ტორმასოვთან და იმის ნახჳს შემდგომად ისევ დაშთებოდა მეფედ, როგორც პირველ. რომლის რწმუნებული მეფე წაბრძანდა ტფილისს თაჳს თავადებით და იახლა გენათელი ეფთჳმი და ნიკოლაოს წმიდელი წულუკიძე სოფრონ. და მეფე დაჭერილი იქმნა ტფილისს ყარაულის დაყენებით. და დაშთა იმერეთის მმართველად ღენერალი სჳმონოვიჩი. და ამავე წელს მაისის თვეში გამოიპარა მეფე თფილისიდამ და ჩავიდა ახალციხეს და გარდაყვა თაჳს თავადი წერეთელი ქაიხოსრო და ძმა მისი როსტომ, წერეთელი სვიმონ გიორგის შვილი, ერისთავი დავით და გრიგოლ და სხვანი რომელიმე. და მეორე თვეს ივნისის ჩამოვიდა მეფე რაოდენისმე ჯარით ბერაძების მთით, რომელიც ახალციხეს ცხოვრებდა ამ ჟამად ფაშათ ათაბაგი სახელით შირიფ. და მივიდა მეფე ტყაჩირას აგიაშვილის სასახლეშიდ. და შეკრბა იმერეთი და აღიძრა შფოთი რუსსა და მეფე შუა. და იყო ჩხუბი. სვიმონოვიჩი იყო ქუთაისს, მაიორი უშაკოვი ერთის ბატალიონის ჯარით და თოფხანით. და ამას ახლდნენ იმერელნი სახუცესი წერეთელი ზურაბ, წულიკიძე ოტია და სეხნია, დადიანი ლევან თავის სამფლობელოს ჯარით და აფხაზით, და გურიელი მამია თავის ჯარით. და იყვნენ დამონავებულ ქვეყანას ქვემოშხრისას ადგილ-ადგილ. და იძლია მეფე და განდევნილ იქმნა ისევ ახალციხეს. და იმავე წელს ნოემბრის თვეშიდ ჩავიდა ახალციხეს მთავარმართებელი ტორმასოვი ორმოცი ათასის კაცით თელი ქართველი ჯარი და კახელი და კვალად თათრის. იმერელი სრულიად, დადიანი თავის ჯარით და გურიელი, რომელთაც არა რაის დამკლები უკანვე დაბრუნებული იქმნენ თავის ნებით. ზემოხსენებულნი ჯარნი თავთავის ადგილზე ამავე წელსა ივლისის შუას (ორის სიტყვის ალაგი განგებ ამომკრალია).— იძე დღეს ხუთშაბათს შუადამისას».

თ. ჟორდანია

947.922
J 841